



# შირაკი

## SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.887)  
27 ივლისი-3 აგვისტო 2019 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა

### საერთო სახლს ცეცხლს ნუ წაფუკიდებთ!



გვ. 3

### ცნობიერების ამაღლება უმთავრესი გზაა...



გვ. 8

### დედოფლისწყაროს 2019 წლის პირველ მოქალაქეებს ქართული სამოსი გადასცას



საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ზრუნვას განაგრძობს. საზოგადოების ინიციატივით, 2019 წლის პირველი მოქალაქეებისთვის, ქართული ჩოხების გადაცემა დაწესდა. დედოფლისწყაროს ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი დათუკიშვილმა არბომიკელ ბარბარე ალადაშვილს ქართული სამოსი სახლში მიუტანა, ხოლო დიმიტრი კაველიძეს ჩოხა ეკლესიაში საზეიმო ვითარებაში პატარა ჩოხოსანმა დიმიტრი ინასარიძემ გადასცა.

დიმიტრი დათუკიშვილის განცხადებით, მსგავსი ღონისძიება ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურ სახეს მიიღებს.

მსგავსი აქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

## 2 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი გინვავით „დედოფლისწყარო 2019“

### საკატიო მოქალაქეების და წარმატებული დედოფლისწყაროელების გამოვლენა ცენტრალურ მოედანზე.

### გალა-კონცერტში მონაწილეობენ: „ქუჩის მუსიკოსები“, სვინა მალაქელიძე და ბია ბალაშვილი. დასაწყისი 20:00 საათზე.

## 2 აგვისტო

### „დედოფლისწყარო 2019“

საკატიო მოქალაქეების გამოვლენა ცენტრალურ მოედანზე

„ქუჩის მუსიკოსები“  
სვინა მალაქელიძე  
ბია ბალაშვილი

**20:00 სთ**

## წყლის მიწოდების ახალი გეგმა ბრაფიკი ამოქმედდა

ქ.დედოფლისწყარო 2019 წლის 23 ივლისიდან

ქ.დედოფლისწყარო, დასავლეთის ნაწილი ლუნ რიცხვებში

07:00 სთ - 10:00 სთ. ქ. დედოფლისწყარო სოფ. სორნაპუჯი

10:00 სთ 12:00 ქიზიყი 1 შესახვევი თავისუფლების ქ. მოსულიშვილის ქ. დუმბაძის ქ.

12:00 სთ. — 15:00 სთ აღმაშენებლის ქ. ვაშლოვანის ქ. 13:00 სთ- 14:00 სთ ლერმონტოვის ქ. 13:00 სთ-14:00 სთ ჩოლოყაშვილის ქ. 14:00 სთ - 15:00 სთ

12:00 სთ - 15:00 სთ გელოვანის ქ

12:00სთ- 13:30 სთ ბეჟანიშვილის ქ. 1 ნაწილი  
13:30 სთ - 15:00 სთ ბეჟანიშვილის ქ. 11 ნაწილი  
ქ.დედოფლისწყარო, აღმოსავლეთ ნაწილი კენტ რიცხვებში

06:00 სთ -08:00 სთ გურამიშვილის ქ. მთის ქ.

08:00 სთ - 12:00 სთ დედოფლისწყარო  
11:00 სთ - 12:00 სთ პრესის ქ. და მეტალურგების ქ.  
12:00 სთ - 16 სოფ სამრეკლო

12:00 სთ - 13:00 სთ ე.წ. „დამპალოს“ უბნის დასაწყისი

13:00 სთ - 14:30 სთ ე.წ. „დამპალოს“ უბანი  
14:30 ასთ - 16:00 სთ. ე.წ. „წყარუამვილის“ უბანი

### სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს



კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად სოფელ ზემო მანხაანში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისაკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

### ძლიერი რეგიონები ნიშნავს ძლიერ საქართველოს!

რეგიონული განვითარება ჩვენი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეგიონების განვითარებისთვის გამოყოფილი თანხების ათიდან 20-ის ანგარიში წარადგინა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მათი ფონდების, განათლების ინფრასტრუქტურისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების საერთო ბიუჯეტმა წელს, ჯამში 400 მილიონი ლარი შეადგინა, რითაც 6700 პროექტის განხორციელება იგეგმება. "ბოლო წლის განმავლობაში რეგიონული მართვის სისტემაში ეფექტურობის ამაღლების მიზნით განვახორციელეთ პრინციპული ცვლილებები, მათ შორის, გავზარდეთ ბიუჯეტი 20%-ით და შედეგად სახეზეა: გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ჩვენ შევქმელით 200 მილიონი ლარით მეტი ინვესტიციის განხორციელება ინფრასტრუქტურაში. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად უმნიშვნელოვანესია პირველადი საჭიროების ინფრასტრუქტურის განვითარება: შიდა გზები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურა. საქართველოში სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონების თანაბარი განვითარებითა და ყველა კუთხეში თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობით. მოსახლეობას ვპირდებით, რომ კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპებით შევძლებთ მსგავსი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციას"-განაცხადა პრემიერმა მამუკა ხაზარაძემ.

### მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ანაკლიის მმართველი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის პოსტებს ტოვებენ

„თბილისი ბანკის“ დამფუძნებლები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ანაკლიის მმართველი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის პოსტებს ტოვებენ. როგორც მამუკა ხაზარაძემ საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამის განცხადებას მომავალ კვირას გააკეთებენ, რომ მათ მიმართ სპეკულაციები დასრულდეს. „ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ანაკლია არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი, ქვეყნის ეკონომიკის შემოტრიალება და ერთხელ და საბოლოოდ ევროპასა და აზიას შორის კარიბჭედ დაფიქსირება, ასევე მსხვილი ინვესტიციების განხორციელება, რომლებთანაც ჩვენ თითქმის დამთავრებული გვექონდა მოლაპარაკება და 2 დღის წინ კიდევ ამ ქაოსში ჩაგვაგდეს. ეს არის ყოვლად გაუგებარი რამ. ერთი მხრივ მთავრობა ამბობს, რომ ანაკლიას მხარს უჭერს და მეორე მხრივ პირდაპირ, ლიად ებრძვიან ამ პროექტს. ის ზარალი, რაც ქართულ ეკონომიკას მათ მიაყენეს 2 დღის განმავლობაში 2 მილიონი ლარის სანაცვლოდ არის დანაშაული და დადგება დრო, რომ ისინი ამის გამო პასუხს აგებენ. აქედან გამომდინარე, მე და ბადრიმ გადაწყვიტეთ, რომ მომავალ კვირას ჩვენ გვექნება პრესკონფერენცია, შევცვლით ანაკლიის მმართველ საბჭოს და გადავინვეით უკანა პლანზე. მე ჩამოვშორდები თავმჯდომარეობას, ბადრი თავმჯდომარის მოადგილეობას, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს სპეკულაცია, თითქმის ჩვენ რაღაცას ვეფარებით. ამას ვაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პროექტი არ გაჩერდეს და ვინმემ არ დაგვბრუნოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის გაჩერება. შეუძლებელია ასეთ პირობებში ელაპარაკო ბანკირს 650 მილიონი დოლარის ინვესტიციაზე და ყოველდღე პროკურატურა სახალხოდ გადებდეს ასეთ ბრალდებებს,“ - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

### ოქრუაშვილს 9-წლამდე პატიმრობა ემუქრება

20-21 ივნისის ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით შს სამინისტრომ ირაკლი ოქრუაშვილი დააკავა. ის წინასწარი დაკავების იზოლაციაშია გადაყვანილი. მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება კი 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. უწყებაში ამბობენ, რომ ამ საქმეზე ოქრუაშვილის გარდა დააკავეს კიდევ 4 ადამიანი. მათ შორის ერთ-ერთი ნაციონალ ჩეოგრაპიკის ქართული გამოცემის მკვლევარი, ბეჟან ლორთქიფანიძეა. ლორთქიფანიძე სწორედ ის პირია, რომელმაც 2015 წელს 13 ივნისის სტიქიის დროს ბეჟემოტი ბეგი დააძინა. ოპოზიცია აცხადებს, რომ ოქრუაშვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია, მან ბევრი რამე იცის ივანიშვილის მიერ ჩადენილ უკანონოებზე და ეს დაკავება მისი და მთელი ოპოზიციის დამინების მცდელობაა. ბრიფინგი გამართეს ოქრუაშვილის პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ წევრებმაც და განაცხადეს, რომ პოლიტიკური რეპრესიები დაინიშნა. „გამარჯვებული საქართველოს“ თანადამფუძნებელი, კოტე კემულარია ამბობს, რომ ეს არის სადამსჯელო ოპერაცია იმ პარტიის ლიდერის წინააღმდეგ, რომელიც „კრეფდა ქულებს და რომელიც ყველაზე მეტად ბოლო დროს ნერვებს უშლიდა, ეტყობა, ოქრუაშვილის კიდევ ერთი თანაპარტიელის, გუბაზ სანიკიძის თქმით კი დაინიშნა პოლიტიკური რეპრესიები და ირაკლი ოქრუაშვილი არის პოლიტიკური მარი. სანიკიძე არ გამოირიცხავს, რომ ისიც დააკავეს. „ეს მხოლოდ ერთ რამეს მოიტანს, დააჩქარებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების მარცხსა და კრახს. ისე, ბიძინას მინდა ვუთხრა, რომ ეს მისი ძალიან სერიოზული შეცდომაა და ანი ელოდოს სიურპრიზებს... ეს კაცი ჭკუაზე არ არის და არის სახიფათო ქვეყნისთვის. მას აქვს ფსიქიკური აშლილობა, ის არის გაბოროტებული და თან აქვს სისხლიანი სამინიშნო დავალება ვლადიმერ პუტინის მხრიდან. არ გამოვიცხავ, რომ მეც დამაკავეს,“ - განაცხადა სანიკიძემ. ირაკლი ოქრუაშვილი სუთმობათს სალამოს „რუსთავი 2“-ის შენობიდან გასვლის შემდეგ დააკავეს. ოქრუაშვილის დაკავებას მისი თანაგუნდელი გურამ ჩალაგაშვილი იხსენებს. მისი თქმით, ავტომობილი ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად კოტე კემულარიასთან პარტიის წევრების შეკრებაზე მიდიოდნენ, რა დროსაც რამდენიმე შავი „ჯიპი“ მიუახლოვდა და მანქანა გააჩერებინეს. ამის შემდეგ კი ყველა გადმოიყვანეს მანქანიდან და ირაკლი ოქრუაშვილს ხელბორკილები დაადეს. ოქრუაშვილის დაკავების შემდეგ შსს-ში ბრიფინგი გაიმართა. უწყების ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ბრალდებით არის დაკავებული. „მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ პარლამენტის შენობაზე მიტანილი ძალადობრივი შტურმის დროს, ირაკლი ოქრუაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს და თავდაცვ ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალადობრივ შეჭრას. ასევე, ირაკლი ოქრუაშვილი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში,“ - აცხადებენ შსს-ში.

ირაკლი ოქრუაშვილის გარდა, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში დაკავებულია კიდევ 4 პირი. „გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების დროს, მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, პოლიციელებზე თავდასხმაში და ორგანიზებულად, შტურმით ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შეჭრას,“ - აცხადებენ შსს-ში. კერძოდ დაკავებულები არიან: 1996 წელს დაბადებული გ. ჯ., რომელმაც სამართალდამცველებს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ურტყამდა მათ პოლიციელისთვის წართმეულ ფარს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში. 1990 წელს დაბადებული თ. დ., რომელიც ფიზიკურად უპირისპირდებოდა და თავს ესხმოდა სამართალდამცველებს. მან ძალის გამოყენებით ერთ-ერთი სამართალდამცველი გაათრია ხალხის მასაში. 1972 წელს დაბადებული ი. მ. რომელიც ინტენსიურად ძალადობდა სამართალდამცველებზე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში. და 1975 წელს დაბადებული ბ. ლ. რომელიც ასევე, გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით პოლიციელების მიმართ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მათ და ძალადობით ცდილობდა კორდონის გარღვევას,“ - განაცხადეს შსს-ში. შსს-ს განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე ამ დროისთვის 17 პირს აქვს ბრალი წარდგენილი. მათ შორის, დეპუტატ ნიკა მელიას. შს სამინისტროში აცხადებენ, რომ უწყება ინტენსიურად აგრძელებს გამოძიებას 20-21 ივნისის პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 315-ე მუხლებით.

### სამშენებლო უსაფრთხოების თემაზე მობილური აპლიკაცია - მშენებლობის უსაფრთხოება შეიქმნა



სამშენებლო უსაფრთხოების თემაზე მობილური აპლიკაცია - „მშენებლობის უსაფრთხოება“ შეიქმნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ ბარკალაიამ განუცხადა, ახალი პროგრამა წარმოადგენს დამხმარე საშუალებას, რომელიც სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით შეიქმნა.

„ამ მობილურ აპლიკაციაში არის ინფორმაცია ყველა იმ ტექნიკური რეგლამენტის, რეგულაციების, უსაფრთხოების ნორმების შესახებ, რომლებიც სამშენებლო სექტორში დამსაქმებელმა და დასაქმებულმა უნდა დაიცვას. მაქსიმალურად მარტივი ენითაა ახსნილი საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები“, - აცხადებს თამარ ბარკალაია. მისივე თქმით, მობილური აპლიკაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა და GIZ PSD TVET-ის თანამშრომლობით შეიქმნა და ის სამშენებლო ინდუსტრიაში უბედური შემთხვევის დაზღვევასა და პრევენციაზე უფლებამოსილი სადაზღვევო ინსტიტუტის (BG BAU) მობილური აპლიკაციის ქართულ ვერსიას წარმოადგენს.

### მ მიზეზი, რის გამოც ყველაზე მეტი აგარია ხდება საქართველოში



შინგან საქმეთა სამინისტრომ ავტოსაგზაო შემთხვევების მეორე კვარტლის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ავტოავარიების შედეგად ქვეყანაში დაიღუპა - 108 და დაშავდა - 1 929 ადამიანი.

სტატისტიკა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ საგზაო მიზეზებსაც მოიცავს. უწყების მონაცემებით, ყველაზე მეტი - 101 სატრანსპორტო შემთხვევის საგზაო მიზეზი - შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევაა; მას მოსდევს მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება -76 შემთხვევით; მე-3 მე-4 ადგილებს 43-43 შემთხვევით ინანოლებენ დისტანციის დაუცველობა და სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში. მათ მოსდევს - ქ/მ გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, რაც ავარიების საგზაო მიზეზად 39 შემთხვევაში გამოვლინდა. ავტოავარიების გამომწვევ 8 საგზაო მიზეზს შორის ხვდებიან ასევე: საგზაო ნიშნის ან მონიშვნის დაუმორჩილებლობა - 35 შემთხვევა; მოძრაობის დაწყების მანევრი - 34 შემთხვევა და მოხვევის მანევრი - 32 შემთხვევა. შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროს მონაცემებით, მე-2 კვარტალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, 9 175; ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) მიხედვით, 1 427 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა რეგისტრირებულია. ამასთან, უწყების ცნობით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად, დაიღუპა 14 ქალი, მათ შორის 7 ქვეითად მოსიარულე და 64 კაცი, მათ შორის 18 ქვეითი იყო. დამზავებით კი 650 ქალი და 992 მამაკაცი არის დაზარალებული.

# საერთო სახლს ცეცხლს ნუ ნაწუკილებთ! იაფი გზიდან - საფრთხემდე?!

ჩვენ ყველა ვცდილობთ, უზრუნველყოთ ჩვენთვის უსაფრთხოება, კეთილდღეობა, კომფორტი და ხანგრძლივი სიცოცხლე, მაგრამ ზომავარ ისეც ხდება, რომ ამ კომპონენტების სიტყვები, საბოლოოდ, მხოლოდ საშიშროებას ბადავს.

როდესაც ფარმაცეპტივი ცდილობენ, ალოოგის შემდეგ დარჩენილი ნაშთებიდან ბაზაუფთავონ ნაკვეთები ნაკლები დანახარჯით, და ამაში ცეცხლს იყენებენ, ხშირად მხოლოდ საკუთარ ნაკვეთთან მიმდებარე არსებულ ქარსაფარ ზოლებს კი არ ანადგურებენ, არამედ სხვის აულებელ მოსაგვალსაც. გადაწვის მავნე პრაქტიკა შორს მიმავალ საშიშროებასაც მოიცავს: ის გაუდაბნოებისკენ მიმართული ქმედებაა და შეიცავს ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს.

**ფერმერი** ბასიკ თოფჩიშვილი, წლებია, აგროსექტორშია დასაქმებული. მინასთან ჭიდილსაც მიეჩვია. ამბობს, რომ მოსახლევად ნაკვეთის მომზადებისთვის გადაწვა კარგი პრაქტიკა არ გახლავთ, მაგრამ ფერმერებს ამისკენ 90-იან წლებში გაჭირვებამ უბიძგა, როდესაც სოფლის მეურნეობა თვითგადარჩენისთვის იბრძოდა. მაშინ ისინი ამ ქმედებით თანხების ეკონომიას აკეთებდნენ.

გაჭირვების წლებში დანერგილი მავნე პრაქტიკა დღემდე განაგრძობს არსებობას და დედოფლისწყაროში ხანძრების მიზეზი ხდება. იაფი გზა გაცილებით მეტ საშიშროებას და საფრთხეს ქმნის არა მარტო მოსახლეობისთვის, არამედ თავად

ლობაში ინტენსიური ხასიათი მიიღო, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ბიომრავალფეროვნებას, ინვესტორებს გაუდაბნობს. ჩვენ უნდა გავითავისოთ პრობლემის სიმწვავე და ერთიანი ძალებით ვებრძოლოთ ასეთ ვანდალიზმს. სანყის ეტაპზე, პრევენციის მიზნით, სამინისტროს შესაბამისი სამსახურების და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელებენ მონიტორინგს. პარალელურად, დაიწყება მუშაობა საჯარო ტარიფის კორექტირების საკითხზე, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარება პრობლემის დაძლევაში“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ ავალიაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის და ბიომრავალფეროვნების დაცვა. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ კუთხით აქტიურად მუშაობს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დანვის შედეგად ქარსაფარი ზოლების განადგურებით გამოწვეულ საფრთხეებს, რაც ნიადაგში ქარსის მიერ ეროზიას, მიკროკლიმატის შეცვლას, ჰაბიტატების განადგურებას, ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას და უანგზადის შემცირებას იწვევს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გარკვეული ფერმერების უპასუხისმგებლო ქმედებით, სასოფლო-სა-



გომარობაზე დადებითად აისახება. მაგრამ, თუკი არ გავუფრთხილებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ბუნებას, თუკი ხანძრებით ნაომარს დავამსგავსებთ ჩვენს რაიონს, ბიოსფერული რეზერვატი ნამდვილად ვეღარ გვიშველის.

ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ გადაწვის შედეგად დაბინძურებული ჰაერი საშიშია ჩვენი, ჩვენი შვილების ჯანმრთელობისათვის“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აგრარული ნარჩენების და ქარსაცივი ზოლის გადაწვის შემთხვევაში ჯარიმები გამკაცრდება, კანონდარღვევის მიმართ კი გამოყენებული იქნება რადიკალური ზომები - ასეთი მესიჯი მიიღეს 25 ივლისს ხელისუფლებისგან დედოფლისწყაროელმა ფერმერებმა.

ფერმერები ამბობენ, რომ მხოლოდ კანონის გამკაცრებით პრობლემა არ გადაიჭრება და საჭიროა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, თუმცა ისინი თანხმდებიან, რომ ნიადაგის გადაწვა მოსავლიანობის გაზრდას ხელს არ უწყობს.

საშინელი სანახავეა ხანძრის შემდეგ გადაწვარი ველი და ქარსაფარი ზოლი, დანახარჯებულ ხეებს კენწეროში აქა-იქ შერჩენილი სიმწვანე, ცეცხლისგან გასაღებულ ტოტებს ვერ ვხედავთ ის ფრინველები, რომელთათვისაც ეს ადგილი მათი სახლია... გვირ მათგანს ამ გუდეც ჰქონდა, შესაძლოა, ბარტყებიც ელოდნენ... სევდიანად ატყლა-შუნებენ ფრთებს და უკანასკნელ იმედს - ცეცხლისგან გაშურულ, ჯარ ისევ ფეხზე მდგარ, მომაკვდავ ხეებს ბარს ეძებებინან...

ეს ის შემთხვევაა, როცა მათი და ჩვენი, ადამიანების სათქმელი ერთიან- დედამინა ჩვენი სახლია, საერთო სახლს ცეცხლს ნუ ნაწუკილებთ!

ინგა შიოლაშვილი



მინისტრის, ვიდრე ის ეკონომია, რასაც ფერმერები გადაწვით ლეზულობენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დანვით გამოწვეული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ ფერმერებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ ავალიაშვილი და კახეთის მხარის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვის მავნე პრაქტიკა უნდა დასრულდეს. რადგან, გარდა იმისა, რომ ნარჩენების დანვის შედეგად გაჩენილი ხანძარი საფრთხეს უქმნის ქარსაფარ ზოლებს და ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას, დროთა განმავლობაში იწვევს ნიადაგის თვისებების გაუარესებას, ნაყოფიერების დონის შემცირებას და საბოლოოდ, ნიადაგის დეგრადაციას.

„ნარჩენების დანვის მავნე პრაქტიკამ, ბოლო ათწლეულების განმავ-

მეურნეო ნარჩენების დანვის შედეგად გაჩენილი ხანძრით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ათობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწაა გადაწვნილი და რამდენიმე ათეული კილომეტრი ქარსაფარი ზოლი განადგურებულია.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მე არც ამ დარბაზში და არც დედოფლისწყაროში არ მეგულება ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ქარსაფარი ზოლის გადაწვა არაა კატასტროფა. ყველა ფერმერმა იცის, რომ ქარსაფარი, პირველ რიგში, იცავს მის ნაკვეთს, თუმცა, ამის მიუხედავად, შირაქში მიწები იწვება, და თანაც დიდი რაოდენობით. ნიადაგს და ბუნებას გაფრთხილება სჭირდება და ეს ყველამ უნდა გავაცნობიეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი იქნება ძალიან ცუდი-მიწა აღარ მოგვცემს მოსავალს. ამჟამად დედოფლისწყაროში ხორციელდება ძალიან კარგი პროექტი-ბიოსფერული რეზერვატის შექმნა, რაც იმას გულისხმობს, რომ აქ მოყვანილი და ნაწარმოები პროდუქცია იქნება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღორძინებას და მოქალაქეების ეკონომიკურ მდ-



# ეკოტურიზმი - რატომ გვჭირდება ის?

**ბოლო წლებია, მთელს მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ბუნების დაცვასთან დაკავშირებული პროგრამებისა თუ კამპანიების წარმოება. შესაბამისად, ხშირად გვესმის სიტყვები: ეკოტური, ეკომოგზაურობა, ეკოარდადეგები, ეკოკრუიზი, ეკოსაფარი, ეკოქსპედიცია და, რა თქმა უნდა, ეკოტურიზმი. ჩნდება კითხვა, რა არის ეკოტურიზმი? ის დღითი დღე იკრებს ძალას და თუ გასურთ, რომ უფრო მეტად დაახლოვდეთ ბუნებასთან, მაშინ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენი მოგზაურობა დადებითად მოქმედებს და ჰარმონიაშია ჩვენი პლანეტის სისუფთავესთან.**

**რა არის ეკოტურიზმი?**  
ტერმინი „ეკოტურიზმი“ 1983 წელს დამკვიდრდა. ის მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა პეტრორ ცებალოს-ლასკურენიმ შემოიღო. ეკოტურიზმს იგი უწოდებდა მოგზაურობას „შედარებით ხელუხლებელ ან დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველური ცხოველებით აღტაცებისა და ტკობობისთვის, ასევე — ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესასწავლად“.

კითხვას, თუ რა არის ეკოტურიზმი, ზუსტად განსაზღვრავს საერთაშორისო ეკოტურიზმის საზოგადოება (TIES), რომელიც აღნიშნავს, რომ ეკოტურიზმი „პასუხისმგებელია ბუნებრივ ტერიტორიებზე, ინარჩუნებს ბარამოს და ხალხს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“. ეკოტურიზმი — ესაა ტურისტების მოგზაურობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვითცნობიერებული. ასეთი ტურისტების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები შეიძლება იყვნენ ტყის მოყვარულები და აკვალანგისტებიც, რომლებსაც წყალქვეშა სამყარო აინტერესებთ. ეკოტურიზმი უპირველესად ტურისტების პასუხისმგებლობისა და ცნობიერების დონეა. ტურისტები ვალდებული არიან გაცნობიერონ თავიანთი გავლენა როგორც ადგილობრივ გარემოზე, ასევე ადგილობრივ საზოგადოებაზეც. გონივრულ ფარგლებში ტურისტები უნდა ცდილობდნენ ამ ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას და შემცირებას. ასევე მნიშვნელოვანია მოგზაურობისას ჯგუფში ადამიანთა რაოდენობაც. ეკოტურიზმში არაა ჩართული ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ის გათვლილია მცირე და საშუალო ზომის ჯგუფებზე. მნიშვნელოვანია წყლის ზომიერი მოხმარება, ველისპიდი და ფეხით მოძრაობა და არა მანქანით გადაადგილება. ეკოტურიზმი საშუალებას აძლევს ადამიანს ბუნებაში ჰარმონია მოძებნოს. ამ მიმართულებით ტურიზმი საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

**რატომ არის ეკოტურიზმი მნიშვნელოვანი?**  
საპაერო ტრანსპორტის ჯგუფების მონაცემებით, გლობალურმა ავიაკომპანიებმა 2013 წელს 3 მილიარდი მგზავრი გადაიყვანეს მსოფლიოს ერთი ადგილიდან მეორეში. ეს რიცხვი დღეებში მდებარეობს. ოქსფორდის ეკონომიკა პროგნოზირებს, რომ ეს რიცხვი თითქმის გაორმაგდება და 2030 წლისთვის 5,9 მილიარდს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ტურისტებისთვის საჭიროა დამატებითი ინფრასტრუქტურა, როგორცაა წყლის გამწმენდი ნაგებობები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები და განსახლების ობიექტები. ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნიათ ეს აუცილებელი საცხოვრებელი პირობები და შედეგებიც უარყოფითი დგება. მაგალითად, აფრიკაში, მასობრივმა ტურისტულმა ნაკადმა გამოიწ-

ვია კანალიზაციის ჩამდინარე წყლების არასათანადო გატარება. ამას, თავის მხრივ, მოჰყვა მდინარის დაბინძურება, სადაც წყალი მეცხოველეობასა და ხალხის სასმელი წყლით მომარაგებას მოხმარდა. განსაკუთრებით დაუცველ ადგილებში, ვიზიტორთა ზრდა იწვევს გარემოს მნიშვნელოვან დეგრადაციას. მიუხედავად იმისა ათავსებენ თუ არა მას სანაგვე ურნებში, ხალხი ნარჩენებს ტოვებს, რასაც შეუძლია საშიში დისბალანსის წარმოქმნა. საფარში და ველურ ცხოველებზე „ფოტონადირობამ“, შეიძლება მათი დაზიანება გამოიწვიოს. ველური ბუნების გამოკვებამ, შეიძლება ცხოველი ადამიანებზე დამოკიდებული გახადოს. ფეხით სიარულსაც კი შეიძლება ნიადაგის ეროზია და ველური ცხოველების ბილიკების განადგურება მოჰყვეს.

სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ეკოტურიზმი, რომლის ოთხ ძირითად სახეობასაც გამოყოფენ:

1. **სამეცნიერო ტურიზმი** — ნესისამებრ, ასეთ ტურებში ტურისტულ ობიექტებს დაცული ტერიტორიები — ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ალკვილები, ბუნების ძეგლები და სხვ. — წარმოადგენს. ასეთი ტურების დროს ტურისტები მონაწილეობენ კვლევით ექსპედიციებში, ატარებენ სავლელ დაკვირვებებს.

2. **ბუნების ისტორიის ტურიზმი** — ეს არის სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ექსკურსიების ერთობლიობა, რომლებიც სპეციალურ ეკოლოგიურ მარშრუტებზე, უფრო ხშირად კი დაცულ ტერიტორიებზე და აკვატორიებში იმართება.

3. **სამთავადასასვლო ტურიზმი** — მასში ერთიანდება ისეთი ტურები, როგორებიცაა: ტურები ცალკეულ რეგიონებში, ხანმოკლე ტურები ველისპედიკებით; ქვეითი მარშრუტები რთულ ადგილებში; მოგზაურობა ფიზიკური დატვირთვით; მოგზაურობა საცხოვრებლად საგანგებოდ მოწყობილი ავტომობილებით. ეკოტურიზმის ეს სახეობა აერთიანებს ყველაწარმოებელ მოგზაურობას, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების აქტიურ საშუალებებსა და ბუნების ნიადავში დასვენებასთან. მას ასევე მიეკუთვნება ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სპელეოტურიზმი, სამთო და ქვეითი ტურიზმი, წყლის ტურიზმი, სათხილამურო, სამთოსათხილამურო ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, დაივინგი, პარაპლანერიზმი. მრავალი მათგანი არცთუ დიდი ხანია გაჩნდა და ტურიზმის ექსტრემალურ სახეობებს მიეკუთვნება.

4. **მომგზაურობა ბუნებრივ ნაპარქებში** და რეზორტებში — აქ მდებარე უნიკალური და ეგზოტიკური ბუნებრივი ობიექტებისა და მოვლენების მალღობი ატრაქციულობა ზვერ ტურისტს იზიდავს. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობისას ტურისტთა 60%-ის მიზანი სწორედ დაცული ტერიტორიების მონახულებაა. ეკოტურიზმის ეს სახეობა კარგად არის განვითარებული ავსტრალიაშიც, ამიტომ მას ხშირად ეკოტურიზმის განვითარების ავსტრალიურ მოდელსაც უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მიახლოებით გამოანგარიშებით, საერთაშორისო ტურიზმის 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმისა და ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვაზე დაფუძნებული სხვა ტურისტული საქმიანობების ზრდის ტემპიც ყველა სხვა ტურისტული სექტორთან შედარებით მაღალია — დაახლოებით 15% წელიწადში. ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია: არ მოახდინოს რესურსების დეგრადაცია და გარემოსთვის ზიანის მიყენება; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო განაგრძობს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. მიმდინარე წელს, ამ კუთხით 46 პროექტის განხორციელება იგეგმება. ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თომა დეკანოიძემ იენისის თვის დასაწყისში

შემდეგ); გამოიყენოს რესურსები მინიმუმადეზინფორმირებული პრინციპით; დაამყაროს პარტნიორობა რამდენიმე მხარესთან: მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მრეწველობასთან, მეცნიერებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან; თითოეულ მათგანს ჩამოუყალიბოს მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა და ქცევის ნორმები ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ.

ეკოტურიზმს, თუ ის სწორად იქნა წარმართული, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი აქვს. მისი დადებითი მხარეებიდან შეიძლება გამოვიყოთ: ეკონომიკური დივერსიფიკაცია (განსაკუთრებით — სოფლებში, პერიფერიებ-



სა და არაინდუსტრიალიზებულ რეგიონებში); გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობა; მოთხოვნა ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე (რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ ეკონომიკას); ინფრასტრუქტურის განვითარება; უცხოური ვალუტის გადაცვლით მიღებული შემოსავლების ზრდა.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია TIES-მა შეიმუშავა ეკოტურისტის 10 ცნება, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს მუდამ უნდა ახსოვდეს და იცავდეს:

1. გავხსოვდეს დედამიწის დაუცველობა;
2. დავტოვოთ მხოლოდ ნაკვალევი, თან წავიღოთ მხოლოდ ფოტოსურათები;
3. შევიცნოთ სამყარო, რომელშიც მოვხვდით: ხალხთა კულტურა, გეოგრაფია;
4. პატივი ვცუთ ადგილობრივ მოსახლეობას;
5. არ ვიყიდოთ იმ მწარმოებლების პროდუქტა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს;
6. ყოველთვის ვიაროთ გაკვალული ბილიკებით;
7. მხარი დავუჭიროთ გარემოსდაცვით პროგრამებს;
8. სადაც შესაძლებელია, გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი მეთოდები;
9. მხარი დავუჭიროთ (ვითანამშრომლოთ) ორგანიზაციებს, რომლებიც გარემოსდაცვით სფეროში საქმიანობენ;
10. ვიმოგზაუროთ იმ ტურისტულ ფირმებსა და კომპანიებთან ერთად, რომლებიც ემხრობიან ეკოტურიზმის პრინციპებს.

ეკოტურიზმი ნელ-ნელა საქართველოშიც იკიდებს ფეხს. ჩვენს ქვეყანას მისი ათვისების სრული პოტენციალი აქვს. ჩვენ ვაერთიანებთ ზღვას, მთას, ბარს და ეს გვაძლევს შანსს უფრო მეტად მიმზიდველი და მოთხოვნადი გავხადოთ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ტურისტებისთვის. მაშინ როცა ეკოტურიზმი განვითარების სანაირს ეტაპზეა, საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ვითარდება და შესაბამისად, ტურისტთა რაოდენობაც იზრდება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო განაგრძობს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. მიმდინარე წელს, ამ კუთხით 46 პროექტის განხორციელება იგეგმება. ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თომა დეკანოიძემ იენისის თვის დასაწყისში

ადგილზე დაათვალიერა. ვიზიტორებს უკვე ელოდებათ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამოწყობილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მუზეუმი, სადაც ახალი ინტერაქტიული სივრცე მოეწყო. მუზეუმში მისული ვიზიტორები დეტალური ინფორმაციის მიღებას შეძლებენ დაცული ტერიტორიების შესახებ. ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა არნივის ხეობაშიც. მთლიანი პარკის ტერიტორიაზე კი მიმდინარეობს დამატებითი სველი წერტილების მოწყობის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები საქართველოს ერთადერთი ტერიტორიაა, რომელსაც გამორჩეული უნიკალური

ბიომრავალფეროვნებისა და სწორი მე-ნეჯმენტის გამო, პრესტიჟული ჯილდო - ევროპული დიპლომი აქვს მინიჭებული. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივა აქვს ასევე ფშავ-ხევსურეთსაც. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, ფშავ-ხევსურეთში ეკოტურიზმის განვითარებისთვის, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელობის გააზრება სახელმწიფოს მიერ, მზარდი პოლიტიკური მხარდაჭერა ბიომრავალფეროვნების დაცვის, დაცული ტერიტორიებისა და ეკოტურიზმის განვითარების მიმართ. ასევე ეკოტურიზმის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, ფშავ-ხევსურეთის ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება უშუალოდ ამ სფეროს სპეციალისტების მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა, ცნობიერების ამაღლება და მათი უშუალო მონაწილეობა სტრატეგიის შემუშავებაში, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ეკოტურიზმი უზრუნველყოფს ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ცხოველების სტილის ცნობადობის ზრდას. ასევე დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენას თემისათვის, რომელიც ცხოვრობს ცივილიზებული ადგილებიდან მოშორებით და მოკლებულია დასაქმების შესაძლებლობას. ეკოტურიზმის სწორ დაგეგმვასა და განვითარებას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია რეგიონისთვის. ეკოტურიზმი, ნათელია, რომ ტურიზმის განსაკუთრებული სახეობაა, რომ ეს მხოლოდ კარგად ორგანიზებული ტურები კი არ არის, არამედ მოგზაურობაა, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებით, ისე სოციალურ და, რა თქმა უნდა, გარემოსდაცვით პროგრამებს. ეკოტურიზმი ცალკეული ადამიანების და, ზოგადად, კაცობრიობის საქმიანობის ნათელი მაგალითია, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს, რა არის „ეკოლოგიური შემეცნება“.

შეიძლება ეს რთული მისაღება, მაგრამ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ბუნებაზე აქტიურად ზემოქმედებს და ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ! რაც მეტად მოვეუფრობილდებით ბუნებას, ჩვენს მთავარ პარტნიორს, მით მეტად ვისარგებლებთ იმ სიკეთებით, რასაც ის გარეგანი დღიდან გვთავაზობს! ჩვენ ერთადერთი მისია გვაკისრია - დავიცვათ ის!

მომამზადა  
შუშუნა ყანაშვილი

# ერთიანობა მრავალფეროვნებაში



საქართველოს ისტორიული არჩევანი ევროპაა. ევროპა არის ქვეყნისა და საზოგადოების არჩევანი და სწორი კურსი სტაბილური, მდგრადი, ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარებისთვის. ევროპა, საუკუნეების წინაც მნიშვნელოვან გამოცდილებას გვიზიარებდა და ჩვენც ვუზიარებდით მას ჩვენ წილ, საკმაოდ მდიდარ კულტურას, ბუნებას, ლიტერატურას. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ევროპული საზოგადოებრივი წყობა, კულტურული ნიადაგა და სამოქალაქო ცხოვრება, ხშირად მნიშვნელოვანი მოვლენების დასაბამი და ათვლის წერტილი გამხდარა ჩვენი ქვეყნისთვის.

ევროპის კავშირი შექმნის დასაწყისად 1951 წელია მიჩნეული, როდესაც საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ხელი მოაწერეს ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული გაერთიანების შექმნას. ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მიზნით ამავე ქვეყნებმა 1957 წელს შექმნეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება - საერთო ბაზარი (1992 წლიდან ევროპის გაერთიანება) და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება. ამ გაერთიანებების თანამედროვე ევროპის კავშირამდე მისვლას ათწლეულები დასჭირდა. იმისათვის რომ ქვეყანა განევიანდეს ევროპის კავშირში, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“, რაც გულისხმობს საზოგადოების მონყოების დემოკრატიულ პრინციპებს, თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობასა და პატივისცემას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ ინსტიტუტების სტაბილურობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კანონის უზენაესობას. ევროპის კავშირი მხოლოდ 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება არაა, რომელიც მიზნად მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას ისახავს. ამავდროულად ეს 500 მილიონი მოქალაქეა, რომელიც უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში ცხოვრებას ცდილობს.

სალომე ნატროშვილი იურისტიკა, რომელიც ევროპაზე საკუთარ გამოცდილებას სხვადასხვა კუთხით გვიზიარებს და ევროპის ქვეყნების ცხოვრებაზე გვესაუბრება. ამ ერთ თვეში სამსახურებრივი ვიზიტით ორ ქვეყანას: შვედეთსა და პოლონეთს ეწვია და შთაბეჭდილებებიც ერთი სივრცის, მაგრამ ორი განსხვავებული ქვეყნის გამოცდილებას ეყრდნობა. „ეს ორი ქვეყანა თავისთავად რადიკალურად განსხვავებულია და პირველ რიგში ომის მესხიერების გამო. პოლონეთში ძალიან კარგად ახსოვთ მეორე მსოფლიო ომი და დღემდე ძალიან დრამატულად განიცდიან მის შედეგებს, რაც, პრინციპში, ლოგიკურია. ე.წ. „მტრის ხატის“ განცდა ისევ ძალიან მძაფრია,

რაც ჩვენთვის ძალიან გასაგები იყო. ომის მესხიერებას ცხადია, უდიდესი გავლენა აქვს ინდივიდებზეც კი. პოლონეთი კარგი მაგალითია იმისა, რომ ყველაზე უარესი სტატუსი კვოდანაც კი შეიძლება ე.წ. „თავიდან დაბადება“. ჩემი აზრით, ვარშავა საკმაოდ იმედის მომცემია“ - ამბობს ის გაზეთ „შირაჟთან“ საუბრისას.

როდესაც კითხვა საზოგადოების მონყობას, მათ ყოველდღიურ საქმიანობასა თუ შეხედულებებს შეეხო, მყინვარების დნობის შედეგად ნელ-ნელა დაწყებულ დასახლებებს შორის საკმაოდ დანიშნულ, ახლა უკვე შვედეთის სამეფოზე, საკმაოდ საინტერესო პასუხს ვიღებთ: „შვედეთში, სიტუაცია კარდინალურად განსხვავებულია. სულ სხვა ფილოსოფიაზეა სოციალური ყოფა აგებული, რასაც, რა თქმა უნდა, დადებით ეფექტებთან ერთად უარყოფითიც ახლავს. ძალიან მარტივად და პოპულარულ ენაზე რომ ვთქვა, შვედეთში სხვაზე უკეთ ცხოვრება, გაუმძღვრობა და მომხვეჭლობა სირცხვილია. ყველა მეტ-ნაკლებად კარგად ცხოვრობს, კეთილდღეობის ნაკლებობა არსად იგრძნობა, მაგრამ ერთგვარი ამრეზით უყურებენ სხვაზე მეტად მდიდრებს. ზოგადად ფუფუნებისადმი მიდრეკილება ბავშვობიდან დაგმობილია.“ - ამბობს სალომე.

ჩვენს ქვეყანას მსგავსი გამოცდილების ნაკლებობა აქვს. უმეტეს წილად, ჩვენი საზოგადოება სწორედ მომხვეჭელობასა და სიმდიდრეს ესწრაფვის და ნაკლებად თუ ექცევა ყურადღებას ახალგაზრდა თაობის მსგავსი მიმართულებით აღზრდასა თუ განვითარებას. რა თქმა უნდა, გა-

ბის ქვეყნებში სასკოლო განათლების მიღების საშუალება, ან უფლება არ ჰქონიათ. „განათლების სისტემაზე ზემოთაღნიშნულის გარდა, ზუსტი წარმოდგენა არ მაქვს. ფინური მოდუსი ვიცი რომ სამაგალითოა, თუმცა, არ ვიცი, რამდენად სრულად არის გაზიარებული შვედეთში. ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლება ვიცი, რომ არ არის საგნობრივი, ისწავლება მოვლენა და ამ მოვლენის შიგნით მათემატიკა, ისტორია, ფიზიკა, გეოგრაფია და ა.შ. მაგალითად, ისწავლება მეორე მსოფლიო ომი და მის ფარგლებში მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.“

მედია და მისი როლი ყველა ქვეყანაში განუზომელია. არც ევროპის ეს ქვეყნები არიან გამონაკლისები. ჩვენთან მედია, კონკრეტულად კი პრესა, დღეს საზოგადოების მხარდაჭერის, თანადგომისა და ყურადღების დეფიციტს განიცდის. „მედიის როლი იმდენად მნიშვნელოვანია, ცოტათი გადაჭარბებულიც კი შეიძლება მოეჩვენოს ე.წ. პოსტ ჰომო სოციეტიკუსს. მაგალითისთვის, ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი ერთი სტატიით შეიძლება მთელი მუნიციპალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რაც თავისთავად, ძალიან მაგარია. ორივე ქვეყანაში, პოლონეთშიც და შვედეთშიც, ბეჭდური მედია პოპულარულია, ხალხი გაზეთებს აქტიურად კითხულობს. ორივე ქვეყანაში პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო მედიის ბრენდის ადგილობრივი წარმომადგენელი არსებობს.“ - აღნიშნავს სალომე და ამ ქვეყნების საზოგადოების ხანდაზმულ წევრებზეც გვესაუბრება. „ფანტასტიური სანახავია ის, თუ როგორ ცხოვრობენ

რეა შეზღუდულია, რამდენადაც, შექმნა რაღაც და გაყიდო ძალიან ძვირად და გამდიდრდე, არ გამოდის. ამიტომ, „შემოქმედებითი ტვინის“ ნაწილი ტოვებს ქვეყანას“. აღსანიშნავია, რომ შვედეთი სიცოცხლის ხანგრძლივობით მეცხრე ადგილზეა მსოფლიოში - 80, 86 წელი (მამაკაცები: 78,59 წელი, ქალები: 83,26 წელი). 65 წლის და უფროსი ასაკის პროცენტული რაოდენობა 18,8%-ია. (მამაკაცები 753 293/ქალები 950 171). პოლონეთში კი, 2009 წლის მიხედვით კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 73.1, ხოლო ქალების 79.5 წელია. შვედეთში ოჯახის წევრების მიერ განეული ზრუნვისთვის კანონმდებლობით გამოყოფილია სპეციალური მიზნობრივი გრანტები, რომლებსაც მთავრობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სახელზე გასცემს. იგი მიმართულია ზრუნვის არაფორმალური მიმწოდებლების სტიმულირებისა და განვითარების მხარდასაჭერად. „ყოველგვარი პატრიოტული და პათეტიკური აქცენტების გარეშე (მგონია, რომ პატრიოტიზმი არ არის ის, რაზეც უნდა ილაპარაკო, უფრო საკეთიბელია, ვიდრე სასაუბრო, რაღაც ძალიან ნაზი და ხელშეუხებელია, რომანტიკულიც კი, მე ვფიქრობ.) მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ ვართ იმ პოზიციაში, რომ ჩვენს ქვეყანას ცალკე აღებულს მუდმივად ვემდუროდეთ იმის გამო, რაც აქვს სკანდინავიას და არ გვაქვს ჩვენ. ბუნებრივი პროცესია, ჩვენი ბოლო ომი 11, იქ კი 200 წლის წინ იყო. ჩვენ არ გვახსოვს ხანგრძლივი მშვიდობა და თავისუფლება ერთად, ამიტომ, რაც ვართ, არ არის ცუდი, მთავარია, არ მოვდუნდეთ“- აღნიშნავს სალომე.



ნათლება აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ სალომეს განათლების სისტემაზეც დავუსვით კითხვა. ვიგებთ, რომ განათლების სისტემა შვედეთში მონერტიკულია ე.წ. სასკოლო კანონით (შვედურად „Skollagen“). შვედური განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია. არსებობს ე.წ. სასკოლო ვალდებულება 7-დან 16 წლამდე, რომლის მიხედვითაც მშობლებს ევალებათ სკოლაში ატარონ ბავშვი, ანდა შეიძლება ნონ თავიანთ შვილს სასკოლო განათლების მიღება. სასკოლო განათლების მიღება შესაძლებელია, როგორც შინ, ე.ი. სახლში, ასევე გარეთ, ე.წ. თავისუფალ სკოლაში. წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შვედეთში ქვეყნის მოსახლეობის 1% არაა, რისთვისაც ციფრობრივი უმნიშვნელობის გამო იფიციალურად არც განიხილება, როგორც საზოგადოებრივი პრობლემა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 25 000 წერა-კითხვის უცოდინარი ცხოვრობს შვედეთში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არაშვედია და შვედეთში გვიან, ან მოზრდილ ასაკში ჩავიდა, მანამდე კი ბავშვობაში, თავიანთი წარმოშო-

ბნიერი ადამიანები. ორივე ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი ძალიან მაღალია და იმ ასაკის ხალხი, ჩვენთან უკვე რომ აღარ არიან, მოგზაურობს, ერთობა, სრულად ჩართულია კულტურულ ცხოვრებაში. ძალიან, ძალიან თვალში საცემია, როგორ ექცევა საზოგადოება, მოხუცებთან ერთად, ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, საერთოდ ნებისმიერ მოწყვლად და ე.წ. „მარგინალურ ჯგუფებს“ და ეს არის ძალიან ჰარმონიული ერთიანობა. ე.წ. ქუჩის სტრესი საერთოდ არ არსებობს, უცხოსგან გაქვს დიდნილად კეთილგანწყობის და გულსხმიერების მოლოდინი. ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენს ანარქიულ, მოუნესრიგებელ აეროპორტს და ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ირგვლივ სულ სხვანაირი, მშფოთვარე სიმშვიდე მოაქვს. ოქსიმორონია, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა ასეთია, რაღაცნაირი ნაზავია, ძალიან უცნაურად ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით. ჩემი აზრით, რაც ძალიან ლამაზია სკანდინავიაში, ეს არის სისადავე და ხაზგასმის გარეშე მაგარი რაღაცების კეთება. უარყოფითი მხარეც აქვს ამ ამბებს, თვითგანვითა-

ევროპის, მისი ღირებულებების თემა ამოუწურავია. ის მხოლოდ მაგალითი და ამავდროულად ადგილია, სადაც ყოველგვარ გამოწვევას განათლებით, სიახლეებით, ინოვაციებით ხვდებიან. ევროპა ესაა უკეთესი განათლება, ძლიერი ეკონომიკა, დასაქმება, მაღალ-შემოსავლიანი სოფლის მეურნეობა, გაუმჯობესებული ჯანდაცვის სისტემა, მშვიდი და უსაფრთხო გარემო. ევროპა არის განსხვავებული კულტურების, ტრადიციებისა და განსხვავებული ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის სივრცე. ეს არის ღირებულებები, სადაც უმთავრესია ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლება. ილია ჭავჭავაძემ ამასვე ამბობდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიორე ნახევარში, რომ „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მიცნებება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოვ-იარაღი“-ო. ამიტომაც, ძალა, რომელიც ჯერ საკუთარ ქვეყანაში, და შემდეგ სხვაგან უნდა ვეძებოთ, ევროპაშია.

მომზადდა  
შუშუნა ყანჩაშვილი

# უმუშევრობის პრობლემა საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესავსებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია.

უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს. ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით გამოუყენებელი სანარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვიღებთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება, ანუ, იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადახდელთა რიცხვის შემცირების შედეგად. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებულ ქვეყანაშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. სხვაგვარადა საქართველოში, ვინაიდან ხელისუფლება არანაირ უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწევს. მათ შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს. ამას უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიკური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ზოგადად უმუშევრობის სოციალური ხარჯი ერთად აღებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯებისგან გამომდინარეობს. ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება. ეს ხარჯები, ზოგადად, საზოგადოებას აწევს, ვინაიდან ამ პრობლემებთან გასამკლავებლად სახელმწიფო მეტ თანხებს ხარჯავს, მაგალითად, კრიმინალთან საბრძოლველად მეტი პოლიციელის დაქირავებისთვის.

განვიხილოთ უმუშევრობის არსი. უმუშევარი ადამიანი, თუკი ის სასურველ სამუშაოს, სასურველი ანაზღაურებით ვერ პოულობს. მონათმფლობელურ და ფეოდალურ (ბატონყმურ) წყობილებებში უმუშევრობა, ფაქტობრივად, არ არსებობდა, რადგან ადამიანს არ ჰქონდა უფლება, მუშაობაზე უარი ეთქვა. უარის შემთხვევაში ის დაისჯებოდა ან მიმშილით დაიღუპებოდა. თუ ადამიანებს ვაძიქლებთ, უხელფასოდ ან სასურველზე დაბალი ხელფასისთვის იმუშაონ — ყველას დასაქმება მოხერხდება. უმუშევრობა შრომის კომერციალიზაციამ ანუ შრომაში სასურველი ანაზღაურების (ხელფასის) მოთხოვნის თავისუფლებამ წარმოშვა. შესაბამისად, თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური

მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული (ხშირ შემთხვევაში ანაზღაურება სარსებოდ საჭირო თანხასაც კი ვერ ფარავს) სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური, ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად — ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია — ემიგრაცია და მიწაზე მუშაობაც. თუ ადამიანს არც მიწა აქვს და ვერც საზღვარგარეთ მიდის, ის სოციალურ ან უმუშევრობის დახმარებას იღებს. ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სოლიდურია და კონკურენტობას უწევს დაბალანაზღაურებულ სამსახურს (მაგრამ არა საქართველოში).



**ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვინაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე განიხილენ „უმუშევარი“ ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან.**

დღეისათვის გაეროს ყველა ნევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO — გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოდოლოგიებს, უპირველეს ყოვლისა, ის დანიშნულია აქვთ, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში

უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვეცემს საშუალებას, ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განანიღღეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს ნევრი ვართ, ვალდებული ვართ გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვეხმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება ან უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში.

საქართველოს შრომის ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია: არ არის დანესებული მინიმალური ხელფასის სავალდებულო ზღვარი, იოლია სამუშაოზე აყვანა-გათავისუფლება, არ არის უმუშევრობის დახმარება, სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ მკაცრად არ კონტროლდება. ამის შედეგად საქართველო ბევრჯერ გამხდარა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, მაგრამ წინდა ეკონომიკური თვალსაზრისით და დასაქმების მაჩვენებლის ამაღლებისათვის რეგულაციებისგან თავისუფალი შრომის ბაზარი უკეთესია. მინიმალური ხელფასის კანონით განსაზღვრა და სამუშაო საათების მკაცრად დარეგულირება სამუშაო ძალას აძვირებს, დამსაქმებელს უწევს მეტი ხელფასი გადაუხადოს დასაქმებულს, ვიდრე თავისუფალი გარიგების პირობებში გადაუხდიდა. ეს კი ბიზნესს აწევს ტვირთად და კონკურენტუნარიანობას უმცირებს, ვერ ფართოვდება (ან დაბალი ტემპით ფართოვდება) და დასაქმებულთა რაოდენობას ვერ ზრდის. უმუშევრობის დახმარება კი მოტივაციას უკარგავს უმუშევარს, დახმარებაზე ნაკლებ თანხად იმუშაოს, რაც სერიოზულ პრობლემად ექცა საშრეთ ევროპის ქვეყნებს. საბერძნეთში უმუშევრობის დონე 26.5%-ია, როცა არალეგალ, დაბალკვალიფიციურ, ბერძნული ენის არმცოდნე ემიგრანტებსაც კი შეუძლიათ საბერძნეთში სამუშაოს პოვნა. ხშირად ემიგრანტები ისეთი თანხისთვის მუშაობენ, რომელიც ნაკლებია, ვიდრე უმუშევრობის დახმარება.

**უმუშევრობაზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას ქცევენ, შრომისუნარიან უმუშე-**

ვართა განათლების დონეა. საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. უმუშევრობის ფსიქოლოგიური შედეგების წინაშე როდესაც დგებიან, დასავლეთის ქვეყნები ხშირად სოციალური უსაფრთხოების ქსელის შექმნის საჭიროებაზე საუბრობენ, რათა უმუშევრებმა თავი საზოგადოებიდან გარიყულად არ იგრძნონ. ეს, ჩვეულებრივ, კეთდება უმუშევრობის დახმარების ან კომპენსაციის ფორმით. ამა თუ იმ ტიპის უმუშევრობის კომპენსაციის პროგრამები სულ 150 ქვეყანაში ხორციელდება. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროგრამები კეთილდღეობის პროგრამების ფორმით არსებობს, განსაკუთრებით უმუშევრობის დაზღვევის სახით. კეთილდღეობის პროგრამები (პირდაპირი უმუშევრობის კომპენსაციის სახით) საქართველოსთვის შესაფერისი ვარიანტი არ არის, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის შრომის ბაზრისთვის ფორმალური დასაქმების დაბალი მაჩვენებელია დამახასიათებელი, ანუ გადასახადის გადახდელთა რიცხვი მცირეა. ამიტომ, განვითარებულ ქვეყნებში ცოტა ადამიანი თუ იღებს უმუშევრობის შემწეობას. ზოგმა განვითარებულმა ქვეყანამ დანიყო სავალდებულო დანაშოგის ანგარიშის ინიციატივის განხორციელება, რომლის თანახმადაც დამსაქმებლებს მოეთხოვებათ შემოსავლების 3-9%-ის ამ ანგარიშზე შეტანა. ეს თანხა შეიძლება მაინც არასაკმარისი იყოს დაბალხელფასიანი შრომელებისათვის, რათა თავი გაიტანონ უმუშევრობის დროს, თუმცა სულ არაფერს მაინც სჯობს.

**მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ. მთავრობას არ შეუძლია უმუშევრობის პრობლემა საჯარო სექტორში დასაქმების ზრდით გადაჭრას, ეს მხოლოდ ბიუროკრატიული ხარჯების ზრდას გამოიწვევს და ისევ ეკონომიკას დაანებებს ტვირთად, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები სამუშაო ადგილებს დაკარგავენ.**

მოამზადა  
სატიუნა ბენაშვილი

## ზაფხულის საკურორტო სეზონმა ნაადრევად კრახი განიცადა?

მთელ საქართველოში ტურისტების სიმცირეა. ამას ყველა თვალნათლივ ხედავს. რუსეთიდან ფრენის აკრძალვამ, საბრტესტო აქციებმა, პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ლარის დეფლაცციამ და უამინდობამაც ზაფხულის საკურორტო სეზონს ბოლომდე მოუთავა ხელი. "თიბისი" ინფორმაციით, ივლისის მეორე კვირაში 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რუსი ტურისტების რაოდენობა 21.4%-ით შემცირდა. თუ პირველ კვირაში, სანამ პირდაპირი ფრენების აკრძალვა ძალაში შევიდოდა, საქართველოში 50 030 ტურისტი შემოვიდა, ივლისის მეორე კვირაში ტურისტების რაოდენობამ 41 423-მდე იკლო. თვითმფრინვით ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა 78.6%-ით არის შემცირებული. რაც შეეხება სახმელეთო გზით შემოსულ ტურისტებს, ივლისის პირველ კვირაში მათი რაოდენობა 1.6%-ით დაიკლო.

ტურისტების ნაკადი რომ შემცირებულია, ამაზე მთავრობის წევრები, პარლამენტარები და სფეროს სპეციალისტებიც საუბრობენ, თუმცა განსხვავებულია ტურისტების ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაცია. ისინი ამტკიცებენ, რომ საქართველოში რუსეთიდან ვიზიტების ოდენობა 30.8%-ით გაიზარდა. სწორედ ამ დროს პარლამენტარ-

რი, გია ვოლსკი ცალსახად ამბობს, რომ საქართველოში, ტურისტების რაოდენობა შემცირებულია. "საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რომ თავიდან ავიცილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის კრახი, რომელმაც საკმაოდ დიდი კრედიტები აიღეს ბანკებიდან, მოემზადნენ ტურისტული სეზონისათვის, რასაც დიდი დარტყმა მიაყენა „ნაცსექტის“ პოლიტიკამ", - აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა. როგორც გია ვოლსკიმ თქვა, ეკონომიკური ზარალი, უკვე თვალშისაცემია და ეს განაპირობა მთავრობის პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია. "საქართველო არის სტაბილური ქვეყანა და ასეთ ქვეყანაში არ უნდა შეექმნას არავის საფრთხე. რუსი ტურისტი იქნება, იტალიელი, თუ პოლონელი. აქედან გამომდინარეობს გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთიდან სატრანზიტო ფრენებს 600 ათას ევრომდე თანხით დასუსტიდირებას ეხება", - განაცხადა ვოლსკიმ.

საერთაშორისო ტურისტების კუთხით სეზონი ნამდვილად ჩავარდნილია და ამის მიზეზი არასტაბილურობასთან ერთად ლარის კურსიცაა. ასე აფასებს, 2019 წლის ზაფხულს პროფესორი პაატა არაბიძე,

რომელიც ბათუმში ცხოვრობს და თავისი თვალთ უყურებს ყველაფერს. მისი თქმით, ტურისტული ნაკადის შემცირება, ქუჩებში გაუღის დროსაც მარტვილად შესამჩნევია. „აჭარას წელს, უპრეტენდენტად დიდი რაოდენობის ტურისტები უნდა ჰყოლოდა და ეს გამოიკვეთა კიდევ მაის-ივნისში, როცა უცხოელი ტურისტები ძალიან დიდი რაოდენობით ჩამოვიდნენ აჭარა-გურჯის მთელ ტერიტორიაზე. 20 ივნისის შედეგ კი ეს კარდინალურად შეიცვალა სიტუაცია. უნდა ვაღიაროთ, რომ საზღვაო ტურისტი საქართველოში ორიენტირებულია დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ტურისტებზე. მაღალი შემოსავლების მქონენი სულ სხვაგან ისვენებენ. რუსეთის მიერ სანქციების მუქარამ და გამუდმებულმა აქციებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და მხოლოდ რუს ტურისტებზე არ უმოქმედია ცუფად, სხვებიც დაფრთხნენ. ნებისმიერ დამსვენებელს სტაბილურობა უნდა და მედია სულ სხვა რამეს იუწყებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მიგნით არ ყოფილა იმდენად დაძაბული ფონი. ახლა პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ აჭარაში ტურისტული სეზონი ჩავარდა. მე ბათუმელი ვარ და ეს ჩანს ქუჩებში გავლის დროსაც. ყველაზე კარგი

ინდიკატორი კი ლარის კურსია, რომელიც სამწუხაროდ, სრულიად უმართავი გახდა", - ამბობს არაბიძე. სპეციალისტები რუსი ტურისტების დანაკლის ქართული ბაზრისათვის საგანგამოდ მიიჩნევენ. სფეროს სპეციალისტი, პროფესორი ნიკა კვარაცხელია ამბობს, რომ განსაკუთრებით თბილისი, ბათუმი და ქუთაისი დაზარალდა, რუსი ტურისტების სიმცირის გამო. „არ მესმის, რა კვლევაზე და ციფრებზე დაყრდნობით საუბრობენ, რომ ტურისტების რაოდენობა არ შემცირებულა. შესაძლოა ვიზიტორები იგივე რაოდენობით შემოდნენ (თუმცა ესეც საეჭვოა), მაგრამ საქართველოში ტურისტების 25% რუსეთზე მოდიოდა. ახლა ისინი აღარ არიან და როცა ამბობენ, რომ ეს საგანგამო არ არის, ძალიან ცდებიან. თანაც, რუსები მაღალი დანახარჯით გამოირჩევიან. ევროპელი ტურისტები უფრო მდიდრები არიან, მაგრამ ბევრს არ ხარჯავენ, ეს ფაქტია. დღესდღეობით თბილისმა, ბათუმმა და ქუთაისმა განსაკუთრებით იზარალეს. კურორტებზეც რთული ვითარებაა, ოღონდ სამკურნალო ტურისტში სხვა მდგომარეობაა. ეს დარგი ახლა ვითარდება და იქ დანაკარგზე ვერ ადრეა საუბარი", - განაცხადა კვარაცხელიამ.

# რა მოხდა ყანდაურაში?!



**ყანდაურაში მომხდარი სასტიკი მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში მალე დაიწყება. პროკურატურამ 85 წლის ომარ გამყრელიძის და მისი შვილიშვილის, უმცროსი ომარ გამყრელიძის საქმეზე გამოიძება დაასრულა. 25 ივლისს კი წინასასამართლო სხდომა ჩატარდება.**

შეგახსენებთ, საგარეჯოს სოფელ ყანდაურაში, გამყრელიძეების ოჯახში, 3 მაისის დღეს შემზარავი მკვლელობა მოხდა, ეზოში ჩაცხრილეს ოთხი ადამიანი, ბრალდებულის ვაჟი, დავითი და რძალი, ლელა სოზიაშვილი, ასევე მათი მეზობელი დედა-შვილი, რომლებიც გამყრელიძეების სახლში ავადმყოფი დიასახლისის, 71 წლის ელზა ტაველიშვილის სანახავად მივიდნენ, რომელიც ამ დროს თურმე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი იწვა სანოლოში და სისხლისგან იცლებოდა. როგორც გაირკვა, დამნაშავეს პირველი მსხვერპლი სწორედ ის იყო. ის თვეზე მეტხანს ებრძოდა სიკვდილს და გონზე მოუსვლელოდ გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა იქვე დააკავეს 85 წლის ომარ გამყრელიძე და მას 5 ადამიანის მკვლელობაში დასდეს ბრალი. მართალია დაკავების მომენტიდან ბრალდებული კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულის ჩადენას, მაგრამ სასამართლომაც წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დღეს კი ირკვევა, რომ მას 5 ადამიანის, მათ შორის, ოჯახის წევრების მკვლელობა არ ჩაუდენია. პროკურატურამ მოხუცს დამამძიმებელ გარემოებაში 5 ადამიანის განზრახ მკვლელობის ბრალდება უკვე მოუხსნა და ახლა სასამართლოში ის სხვა ბრალდებით წარსდგება. პროკურატურა მოხუცს დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნევს და განზრახ მკვლელობის დახმარებაში სდებს ბრალს.

როგორც ირკვევა, ახლა ძალიან ენებამ ამ შემზარავი მკვლელობების მთავარ ბრალდებულად ომარის მეორე ვაჟი, ყოფილი სპეცრაზმიერი ნოდარ გამყრელიძე ცნეს. იგი ამ დრომდე არ დაუკავებიათ. როგორც ჩანს, საქმე ნოდარ გამყრელიძის მიმართ ცალკე წარმოებად გამოიყო. ხოლო პაპასა და შვილიშვილს - ნოდარ გამყრელიძის ვაჟს, უმცროს ომარ გამყრელიძეს ცალკე გასამართლებენ.

არსებული ინფორმაციით, გამოძიებას მნიშვნელოვანი დახმარება უმცროსმა ომარ გამყრელიძემ გაუწია, სწორედ მისი ჩვენებით ხდება ცნობილი, რომ ნოდარ გამყრელიძე კახეთში იმყოფებოდა. იმასაც ამბობენ, შვილმა ძალიან ენებებოდა ისიც უთხრა, რომ სახლში კამათობდნენ. ჩვენთვის უცნობია, რამდენად დეტალურია ბრალდებულ ომარ გამყრელიძის ჩვენება და რამდენად გამოადგებათ ის სამართალდამცავებს ძებნილი ნოდარის ბრალულობის დასამტკიცებლად.

ადვოკატი გიორგი ენდენაძე, რომელიც იცავს ბაბუას და შვილიშვილს, მიიჩნევს, რომ პროკურატურას საქმე გაუხსნელი აქვს.

გიორგი ენდენაძე: - ომარ გამყრელიძეს შეუცვალეს კვალიფიკაცია და ბრალი დასდეს 2 ან

მეტი პირის განზრახ მკვლელობის დახმარებაში, თუმცა არანაირი მტკიცებულება პროკურატურას არ გააჩნია. ერთდერით გეკოზე აღმოჩნდა მოხუცის თითის ანაბეჭდები, რომელიც მტკიცებულებად არ გამოდგება, რადგან ეს იარაღი მათ სახლში ინახებოდა, ხოლო მისი ადამიანი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მასზე დნმ-ს კვალი დარჩენილიყო. როგორც უფროსი ომარ გამყრელიძე ამბობს, ის სოფელში შვილიშვილს ელოდებოდა და ამიტომ საძინებელი ოთახიდან იარაღი ე.წ. სარაიაში გადაიტანა. ბრალდების მხარე ამბობს, იარაღის გადატანით ომარ გამყრელიძე ვითომდა მკვლელს დაეხმარა. სად არის აქ ლოგიკა? რატომ უნდა დახმარებოდა საკუთარი ოჯახის წევრების მკვლელობაში? ეს არის ყოველად უსაფუძვლო ბრალდება, პროკურატურას არ სურს უკან დაიხიოს და გამოჩნდეს რეალობა, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანი ჰყავთ ამდენი ხანი დაკავებული.

**- ცნობილია, რომ მკვლელობები ორი სხვადასხვა იარაღიდან გასროლით მოხდა, ეს რაზე მითითებს ორია დამნაშავე თუ ერთი პირი ორი სხვადასხვა იარაღიდან ისვრის?**

- ეს ყველაფერი პოლიციისთვის კვალის არევის მიზნით არის გაკეთებული. გეკოს იარაღიდან გასროლით არის მოკლული გამყრელიძის მეუღლე. ეტყობა გამოიყენა ეს იარაღი და დედო, დანარჩენი 4 ადამიანი მოკლულია ავტომატიდან გასროლით.

**- ბრალდებულის შვილი, ნოდარი იძებნება, თუ არის საქმეში მტკიცებულებები მის წინააღმდეგ?**

- პროკურატურას თავისი ვერსია აქვს და სურს ეს უმძიმესი დანაშაული დაბრალოს ნოდარ გამყრელიძეს, თუმცა იმ საქმის მასალებში, რასაც ვიცნობ, ამის მტკიცებულებაც არ ჩანს. არის მხოლოდ ვარაუდები.

გახსოვთ ალბათ იყო ვერსია, ვითომ ქონებრივი ინტერესის გამო იყო ამდენი ადამიანი მოკლული, ეს არის ტყუილი. მთელი სოფელი რომ მოიაროთ ერთ ადამიანსაც ვერ იპოვით, ვინც იტყვის, რომ ძმებს შორის კონფლიქტი არსებობდა. ამის გარდა სრულიად გაუგებარია რატომ უნდა მოეკლა ნოდარ გამყრელიძეს დედა...

**- რას ამბობს პროკურატურა მკვლელობის მოტივზე?**

- პროკურატურა ამბობს, ალბათ შეიშალაო. მაგრამ საიდან ასე ვინაინ ამას?... რას ნიშნავს შეიშალა? ამას ხომ მტკიცებულება სჭირდება. მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის გამოძიება, არ განიხილავენ თუნდაც იმას, რომ შეიძლება ოჯახის მტერი ყოფილიყო ოჯახის რომელიმე წევრი.

ჩვენ სასამართლოზე მოვითხოვთ ის მწირი მტკიცებულებებიც კი, რომელიც საქმეშია დაუბეჭდლად ცნოს სასამართლომ, რადგან პროცესუალური ნორმების დარღვევით მოხდა იმის ამოღება.

**- რას გულისხმობთ?**

- მტკიცებულებების ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და იქიდან ნივთების ამოღება მოხდა დარღვევით. დოკუმენტს ხელს აწერს სოფლის რწმუნებული ნანა ტაველიშვილი და მითითებულია, რომ ის ესწრებოდა ამ პროცედურას, თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ ის ამ პროცესს ბოლომდე არ დასრულებს. ის არ არის ორისტი, შოკში იყო და ხელი მოაწერინეს სადაც სოფლის ცენტრში.

- როგორც ამბობენ, მანქანებიდან და სახლიდან დიდძალი საბრძოლო მასალა და იარაღი ამოღებული, ამაზე რას იტყვით? უფროსი ომარის მანქანაში როგორ აღმოჩნდა ეს ყვე-

ლაფერი? - ისეთი მიძინა ყუთია ამოღებული ომარ გამყრელიძის "ვილისიდან", წარმოუდგენელია ის 85 წლის მოხუცს მოეთავსებინა. თან იმ დროს ახალი ნაოპერაციევი იყო. ადამიანი ძლივს დადის. წინა დღეს ომარ გამყრელიძეს მანქანაში რომ არაფერი იდო, ეს დასტურდება იმით, რომ მას ამ მანქანით გადაყვანა მუშები. რომ ივარაუდონ, რომ შვილიშვილმა ჩადო, მისი დნმ არ არის აღმოჩენილი და ესეც გამოირიცხვება.

პროკურატურა თავიდან დაეყრდნო ფრიდონ გამყრელიძის, ვისი ცოლი და შვილიც დახოცეს, ნათქვამს, მან თქვა დაინახე ომარი ხოცავდა ამ ხალხსო, ის იყო ერთადერთი თვითმხილველი, ესმოდა ვიღაც ისროდა და შოკირებულმა ადამიანმა ეს თქვა, თუმცა მერე დააზუსტა მედიასთან ინტერვიუებში, მე არ დამინახავს ომარი რომ ისროდაო. პროკურატურამ ამ ჩვენების საფუძველზე დააკავა ომარი, მაგრამ ეს რეალური არ აღმოჩნდა. ექსპერტიზებით ისიც დადგინდა, რომ ტყვიები გარედან შიგნით იყო ნასროლი, ომარი კი შიგნით, სახლში იჯდა რომ დააკავეს და ვერანაირად ვერ მოახერხებდა სროლას. ომარის ვაჟს ნოდარს ყველა ომი გამოვლილი აქვს და ახლა ცდილობენ ყველაფერი მას დაუკავშირონ...

**- ამბობენ, უმცროსმა ომარ გამყრელიძემ ითანამშრომლა გამოძიებასთან, საკუთარმა შვილმა ამხილა მამა და თქვა, რომ მან კახეთში ჩამოიყვანა ნოდარ გამყრელიძე, ამას ადასტურებთ?**

- ნოდარ გამყრელიძე, რომელიც თავის დროზე სპეცრაზმიელი იყო, ქვეყნიდან აპირებდა წასვლას, რადგან უმუშევარი იყო. შეეძინა საზღვარზე რომ არ გადაეღებოდა და აპირებდა არანაკონიერი გზით გადასვლას. მისი შვილი ამბობს, რომ თბილისიდან მამასთან ერთად წამოვიდა, მან მამასთან ბაღაურამდე მიიყვანა, იქ ჩამოვიდა ნოდარი, დაემშვიდობა შვილს და უთხრა რომ რუსეთში მიდიოდა. ორი დღის მერე ხდება ეს მკვლელობა და ჩემი აზრით, არ შეიძლება ეს დავაკავშიროთ ნოდართან. ბოლოს და ბოლოს ყველა კენჭი იცის თავის სახლში, იცის რა სად დევს, თუ ხალხის დახოცვა უნდოდა ღამით ვერ მოკლავდა?

**- თუ უდანაშაულოა, რატომ არ გამოჩნდა ამდენი ხანი ნოდარ გამყრელიძე?**

- ის სამუშაოდ აპირებდა წასვლას და მას შემდეგ ოჯახმა მასზე არაფერი იცის.

**- 25 ივლისს, სასამართლო პროცესი იწყება, თქვენ დაკავებულებითვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას მოითხოვთ?**

- დიხს მოვითხოვ ორივე გაათავისუფლონ პატიმრობიდან. ძალიან მიძიმე მდგომარეობაშია მოხუცი, ის უდანაშაულოა და ამდენი ხანი გამოკეტული ჰყავთ ციხეში. ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ აქვს კარგი.

არც პატარა ომარის წინააღმდეგ აქვს გამოძიებას სამხილი, მისი დნმ-ის კვლიც კი არ აღმოჩენილა არსად. ყველა იცის რომ მკვლელობის დროს ის სახლში არ იყო და წნევის აპარატის მოსატანად წავიდა, იქიდან დაბრუნებულს კი ეს ფაქტი დახვდა.

## გამოსთხოვარი

### ანამ ისაიაშვილი

„ომაროს წამებს ნუ დაპარბავთ!“  
საოცრად სასიამოვნოა წარსულის გახსენება, თუ ის აღსაყვანია თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან ერთად გატარებული ოქროს წამების ღამეები მოგონებებით.

მაგრამ, არის წუთები, როცა ამ მოგონებებს ტკივილი და სევდაც ახლავს თან. ასეა ამ შემთხვევაშიც. ჩვენი XI-კლასის ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებლის, მანო ისაიაშვილის გარდაცვალების გამო.

მან თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, არა მარტო ჩვენი კლასის, არამედ ყველა მოსწავლის გულში, ვისაც კი იგი ასწავლიდა. მანო მასწავლებელი ჩვენ ხაზვის გაკვეთილებს გვიტარებდა. მან, საგანთან ერთად, დიდი ადამიანობა გვასწავლა და გვემძღვრავდა: ჯერ ადამიანი უნდა იყო მისაბაძი, შემდეგ კი პროფესიონალი. იგი არასოდეს აძლევდა შენიშვნას კლასში მოსწავლეს თანაკლასელების თანდასწრებით, რაც მის დიდი კულტურაზე და განათლებაზე მეტყველებდა.

თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, საოცარი ხმის ტემპრით გვიხსნიდა გაკვეთილებს. იგი ჭეშმარიტად ამშვენებდა ჩვენს რაიონს და თითოეულ ჩვენს თანაკლასელს გვეამაყებოდა, რომ მისი მოსწავლეები ვიყავით.

მანო მასწავლებელი, თქვენ ძალიან განიცადეთ, როცა ჩვენი თანაკლასელები: ნათელა ალუილიშვილი, (რომელმაც 1964 წლის 15 თებერვალს უბედური შემთხვევის გამო ფეხი მოიტყნა და 8 თვე იავადმყოფა...), ედგარდ პოპიაშვილი, გურამ ბალაშვილი, გურამ ფიცხელაური, ოთარ გორიჭაშვილი გამოაკლდნენ ჩვენს რიგებს.

თქვენგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ მუდამ გიყვარდეთ ერთმანეთი და რაც მთავარია „ოქროს წამებს ნუ დაკარგავთ“. ამ შეგონებას გვიწერავდით, ძვირფასო მანო მასწავლებელი.

ჩვენი უძვირფასესო მანო მასწავლებელი, 2017 წლის დანაწიში ჩვენი პირველი უსაყვარლესი მასწავლებელი თამარ ყორჩაშვილი გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე და თანაკლასელების სახელით სამძიმრის განცხადებები გამოვაქვეყნეთ გაზეთებში „შირაქი“ და „ახალი განათლება“ და დღეს ძალიან გვიძიმს, რომ ჩვენი კლასის მასწავლებლებიდან თქვენც, უკანასკნელ მოპიკანს, მოსწავლეებზე უსაზღვრო შეყვარებულს, სამუდამოდ გემშვიდობებით. ნათელა იყოს თქვენი სული!

**ქ. ნითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1964 წლის XI-კლასის კურსდამთავრებულების სახელით ნანა ჭიჭინაძე და ეთერ ჯანაიძე**

## სსმსა

### შალვა ბიკაშვილი

5 აგვისტო, ეს შენი გადაცვალების დღეა, ჩემო შალვა. დღე ტკივილიანი, რომელსაც ვერანაირი ნამაღლი ვერ აყურებს. 2 წელია ვიტანჯებით. ელიაობა მეორედ მოვა უშენოდ. დღე, რომელიც შენ ასე ძალიან გიყვარდა. ელიას მთა გადმოჰყურებს შენს მარადიულ სასუფეველს. ღმერთმა ნათელაში ამყოფოს შენი ღამეაზი სული.

„ო, რა კარგი ხარ განვლილი წლებო, წახვედი ჩემგან დასაფიცებლად. ცხოვრება მწარედ მოსაგონარი და სიჭაბუკე წავიდა მარად. მე ამ ცხოვრებაში მასე დამიყო, და ბედისწერამ იქ წამოიყვანა, სადაც დასრულდა ჩემი სიცოცხლე. რა იქნებოდა, მეც რომ მუცოცხლა და გამეხარა ჩემს ახლობლებში. მე მანდ დატოვე ატყუებულად“.

**დიდი გულისტკივილით: მამია, პიპა, და, მამიაშვილები, მშობლები, პაპა-პაპიები.**

## სსმსა

### მიხეილ კობაიძე


XX საუკუნის 60-70-იან წლებში სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე გახლდათ ლეთის ბოძებული ნიჭიერებითა და დაუღალავი შრომით, პიროვნული ხიბლით კეთილი ადამიანი მიხეილ ნიკოლოზის ძე კობაიძე, ყოველთვის მონიხავდა რიგებში იყო არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც.

სწორედ ამ დიდი ღვაწლისთვის, მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით და მედლით, ყველაზე დიდი ჯილდო კი მისი ერთგული მუშაობის ნათელი და კარგად აღზრდილი შვილები: ლია, კობა, ბაჩო და 9 შვილიშვილი ახარებდა მის გულს.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში საბაზრო ეკონომიკამ რომ მოიკიდა ფეხი, ბატონმა მიხეილმა თავად დაწერა განცხადება კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შესახებ და შრომითი საქმიანობა გააგრძელა სოფლის მეურნეობის მუშაკთა დედოფლისწყაროს პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. უკვალოდ არ ჩაუვლია მის მოღვაწეობას პროფკავშირებში. მიხეილ მამულიშვილი საქმის მოთავე გახლდათ, ბევრს დაეხმარა, გაუკვლია გზა და ბევრი ღირსეული პიროვნებაც შემატა საზოგადოებას.

თითოეული ჩვენგანი მოხიბვლილი ვიყავით მისი უდიდესი კაცთმოყვარეობით, ზრუნვითა და ყურადღებით, რასაც ყოველთვის ამუღავნებდა თავისი თანამშრომლების მიმართ.

ყოველწლიურად მისი ოჯახის წევრები (მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოდის მისი უმცროსი ვაჟიშვილი ბაჩო, რომელიც ცნობილი მეან გინეკოლოგია)



ბებო-პაპა და ჩემი მშობლები. არ გამიბრუნდეთ და არ გა-მიწერეთ-მეც რომ მიხლოდა თქვენს გვერდით უოფნა, მხოლოდ ერთს გ თხოვთ მე ჩემს ახლობლებს, არ დაიფიცოთ ჩემი სახელი. მე არ მოგეკვდარვარ ისე თქვენთან ვარ! და ისევე ისე მიყვარხართ ვეფლა“.

## მონატრება

### ქენია სულაშვილი

28 ივლისს შენი დაბადების დღეა, ჩვენო ტკბილო და მონატრებული, ბებო. 91 წლის გახდებოდი. ვფიქრობდით, რომ ერთად აღვნიშნავდით ამ ღამეაზ თარიღს, მაგრამ არ დაგვცალდა. განგებაზე ასე იწება. ამ იუბილეს მაინც აღვნიშნავთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, მოგიტანთ ყვავილებს, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, სასუფეველი დაგიმკვიდროს.

**მეუღლე, შვილები, სიმე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები და დისშვილიშვილები.**

გულიკო, ესმა, მარინა პოპიაშვილები ოჯახებით იუნყებან მამიდაშვილის მარიამ (მანო) ისაიაშვილის გარდაცვალებას.  
დაიკრძალა 9 ივლისს, ქ. დედოფლისწყაროში.



აღნიშნავენ სხვების დღეს, ასე იყო ამჯერადაც. 14 ივლისს სოფელ არხილოსკალოში მის ბინაში მეთავედ შევიკრიბეთ მისი ახლობლები, ნათესავები, მეზობლები, ბაჩოსა და ლიას მეგობრები და გავისხენეთ ეს ამაგდარი ადამიანი, ადამიანი-სიკეთე, კაცი-ლეგენდა. ეს სამი სიტყვა თვისი მნიშვნელობით უძღურია იმის წარმოსადგენად რა ღვაწლი და ამაგი აქვს სოფელ არხილოსკალოს წინაშე, მისი თავგაცობის პერიოდში - კულტსახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლილი ქავთარაძე იხსენებს: ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა სოფელში კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და მის ფინანსურ უზრუნველყოფას. ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი იყო, რაც მთავარია უდიდეს პატივს მიაგებდა თავის წინაპრებს.

ბატონმა მიხეილმა მრავალი ცხოვრებისეული სიმალე დაიპყრო და დაგვიტოვა დიდებული ოჯახი, საზოგადოების ღირსეული წევრები: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებშიც გრძელდება მათი სახელოვანი მამის და პაპის ნიჭიერება და ადამიანობა.

**დედოფლისწყაროს რაიონის დარგის პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარეების სახელით ნანა ჭიჭინაძე, ნალი გოგაშვილი, თემურ ოჯაბაძე-ლაშვილი, მერი თარაშვილი, რაზო კოპალიანი.**

# სწოზიერების ახალღეზა უმთავრესი გზაა...

**24 ივლისის სასწავლო ცენტრ „სპექტრში“ დედოფლისწყაროს ქალთა საბჭოს და ააიპ „ფიროსმანის“ ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომელ ქალებთან შეხვედრა, რომელსაც უძღვევოდა თელავის სახალხო დამცველის აპარატის იურისტი ეთერ შიუკაშვილი.**

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დადგენა და შემდგომ, ხელახლა მიწოდება იქ დამსწრე საზოგადოებისთვის.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ქალთა საბჭოს დამფუძნებლები- ნელი გობეჯიშვილი და ნუნუ ცაკაშვილი. მათ ისაუბრეს აღნიშნული თემების მნიშვნელობისა და აქტუალობის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა თანასწორობის მიმართულებით კითხვები დასვა და საზგასმით აღნიშნა მათი მნიშვნელობა, შემდეგ იმ ძირითად გამოწვევებზე ისაუბრა, რაც საქართველოში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მიმართულებით არსებობს. ქალბატონმა ეთერმა აქვე დასძინა, რომ სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კვლავ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და აპარატმა ამ მიმართულებით

არაერთი ნაბიჯი გადადგა, მათ შორის, შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი და შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები.

მან აგრეთვე ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა და ძირითად გამოწვევებზე. განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე, რომლის გამოვლენა ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში, ქალთა მკვლელობების მასშტაბებსა და სიმწვავეზე, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხზე. ეთერ შიუკაშვილმა ისაუბრა გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები დროებითი სპეციალური ზომების შესამუშავებლად. საქართველოში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს შრომით ურთიერთობებში არსებული დისკრიმინაციული მიდგომები და სხვა.

მან აგრეთვე დასვა შემდეგი შინაარსის კითხვები: **ვფლობთ თუ არა ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს და მისი საქმიანობის შესახებ, ან მერიაში გენდერული თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე?** პასუხი არაერთგვაროვანი იყო, იქ დამსწრე საზოგადოება აღნიშნული სამსახურების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულნი აღმოვჩნდით. თუ რამდენად დიდია ქალ-



თა როლი ჩვენს მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, აქაც პასუხი მარტივია, იმდენად რამდენადაც, მთელი ქვეყნის მასშტაბით საპასუხისმგებლო თანამდებობას, ძირითადად, მამაკაცები იკავებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ძალიან საინტერესო და ინფორმაციული ხასიათის იყო. ღია დისკუსიაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტისა და კულტურის სამსახურების, მუზეუმის, სკოლების და მედიის წარმომადგენლები.

დასასრულს, სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორმა ნუნუ ცაკაშვილმა მოულოდნელი სიურპრიზი მოუშადა ცენტრის გერმანული ენის პედაგოგს- ქალბატონ ნელი ხარაზიშვილს და კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის -კახა შენგელიასგან სარუქრად იტალიის რვა ქვეყნის

ტურისტული საგზური გადასცა. როგორც ქალბატონმა ნუნუმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ასეთი ტიპის სარუქრად ბატონმა კახამ გასულ წელს თავის ფრანგულ მასწავლებელს, (რომლის საშუალებითაც, როგორც თვითონ თვლის, მას ამხელა შესაძლებლობები მიეცა ცხოვრებაში,) გადასცა მადლიერების ნიშნად. როდესაც იგი სტუმრად იმყოფებოდა სასწავლო ცენტრში, ნელი მასწავლებელმა მას ამ საქციელისთვის მადლობა გადაუხადა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ კახაზე და გადაწყვიტა, მისთვის სრულიად უცხო ადამიანისთვის ეს სიურპრიზი მოემზადებინა ღრმა პატივისცემის ნიშნად. ამ ფაქტმა ყველა სასიამოვნოდ გაგვაოცა და სტიმული მოგვცა, უფრო მეტი კეთილი საქმეების კეთებისა.

ელზა ხარაზიშვილი

## შექმნილია იმპლანტი, რომელიც ადამიანს აივ ინფექციისგან ერთი წლის განმავლობაში დაიცავს

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) გადადების მაღალი რისკის წინაშე მყოფი ადამიანები დღეისათვის პრეექსპროზიტიურ პროფილაქტიკურ მედიკამენტებს (PrEP) იღებენ. ეს წამალი მათ ვირუსის გადადებისგან იცავს, მაგრამ არა მთლიანად.

თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს შანსი, რომ ადამიანს ხანდახან დაავინყდეს

PrEP-ის დაღვევა, რაც მის ეფექტიანობას გაცილებით ამცირებს.

გლობალურ ბიოფარმაცევტულ კომპანია „მერკს“ (Merck) მიაჩნია, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გზა უკვე იპოვა. საქმე ეხება იმპლანტს, რომელსაც ორგანიზმში აივ-ის ერთი წლის პრევენციისთვის საკმარისი სამკურნალო საშუალება შეაქვს და შესაბამისად, საჭირო აღარ არის ყოველდღიურად აბების სმა.

„მერკის“ აივ-ის იმპლანტი დიდად არ განსხვავდება ორსულობის საინააღმდეგო იმპლანტისგან. არის დაახლოებით ასანთის ღერის ზომის და თავსდება ადამიანის მხარზე, კანქვეშ.

რამდენიმე დღის წინ, კომპანია იმპლანტის კლინიკური კვლევების პირველი ფაზის შედეგები წარმოადგინა. „მერკის“ განცხადებით, საშუალება საკმარის ეფექტიანი აღმოჩნდა აივ-ის გადადების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ცდა მხოლოდ 12 მამაკაცზე ჩატარდა და 12 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, კომპანია „მერკი“ პრესრელიზში აღნიშნავს, რომ

ტი დიდად არ განსხვავდება ორსულობის საინააღმდეგო იმპლანტისგან. არის დაახლოებით ასანთის ღერის ზომის და თავსდება ადამიანის მხარზე, კანქვეშ.

რამდენიმე დღის წინ, კომპანია იმპლანტის კლინიკური კვლევების პირველი ფაზის შედეგები წარმოადგინა. „მერკის“ განცხადებით, საშუალება საკმარის ეფექტიანი აღმოჩნდა აივ-ის გადადების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ცდა მხოლოდ 12 მამაკაცზე ჩატარდა და 12 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, კომპანია „მერკი“ პრესრელიზში აღნიშნავს, რომ

შედეგებით საკმარის შედეგს მიიღო. აშშ-ის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტის დირექტორი ენტონი ფოსი, რომელიც ცდებში ჩართული არ ყოფილა, შეფასებისას ფრთხილობს, მაგრამ საკმარის ოპტიმისტურად არის განწყობილი.

„თუკი უფრო დიდი ცდა დადასტურებს, რომ იმპლანტს ორგანიზმში აივისგან ერთი წლის განმავლობაში დაცვისათვის საკმარისი წამალი შეაქვს, ამ სეგმენტში სრულიად შეიცვლება თამაშის წესები“, - განუცხადა ფოსიმ The New York Times-ს.

**ულოცავენ!**  
**ბარბარა გორაშვილს!**

დედას ცხოვრებაზე და ახდენილი ოცნებაზე, იმედო და სიამაყე, გილოცავთ დაბადების დღეს.  
ხუთი წელია უღამაზე დედას ცხოვრებას, ჩვენც ვხარობთ შენი ლამაზი და სპეტაკი სიყვარულით. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და ლაღი. ფერადი და ნათელი დღეებით გეცხოვროს მუდამ. უფალი გვარავდეს!  
**დედა ნინო, პაპა-ბებო ვისელი-მყვალა, ბიძა შენგელი, ბიძოლა-ნინო, ბიძაშვილები-მარიამ და სალომე გორაშვილები.**

**ულოცავენ!**  
**შუშუნა ჯაბაშვილს!**

29 ივლისს 70 წლის გახდები. აქედან 42 წელი ერთად მოვდივართ ამ ცხოვრებაში. იყავ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე, რომლის ზურგზეც გადაიარა ყველა იმ მძიმე პერიოდმა, რაც ცენტრალურ ბიბლიოთეკას ჰქონდა. მათ შორის დიდი ღვაწლი მიგიძღვის საბიბლიოთეკო სისტემის შექმნაში. მართალია, გულს გვწყდება ამავის დაუფასებლობისთვის, მაგრამ ბედნიერებაა, რომ ხარ დედა, გყავს კარგი შვილები და ხარობ შვილიშვილებთან. გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ბედნიერ სიცოცხლეს შენს ტკბილ ოჯახთან ერთად. ღმერთი გვარავდეს. ჟუკი, ძალიან გვიყვარხარ, გეფერებით.

**ყურადღება!**  
მე-4 კატეგორიის სანარმოთა საწურაფლო!  
2017 წლის 2 ნოემბერს მიღებული კანონის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირები (შ.პ.ს. სააქციო საზოგადოება და სხვა) ვალდებული არიან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე წარადგინონ 2018 წლის ფინანსური ანგარიში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ჯარიმდება 500 ლარის ოდენობით.  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოებს შეგიძლიათ მოგემართოთ დახმარებისთვის. ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს აგროცენტრი“  
☎ 558 58 45 77 მანანა

**შუშუნა ჯაბაშვილს!**

ჩვენთვის ძვირფასო და საამაყო დედა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს-70 წლისთავს.  
კიდევ დიდხანს იყავი ისეთი ხალისიანი, მხნე და ენერგიული, როგორც ახლა ხარ. ჩვენო მშრომელო ადამიანო, შენი ცხოვრების დიდ გზაზე ისე იარე, რომ უკან მოხედვის არ შეგერცხვება.  
როგორც წამყვანმა სპეციალისტმა, დიდი ამაგი დასდე რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებას. გამდლობთ, რომ ყველას ჩვენი წილი სითბო და სიყვარული გვარგუნე.  
გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად. გვარავდეს ღმერთი, გვიყვარხარ, გეფერებით.  
**სიყვარულით, მეუღლე ოთარო, შვილები ლაპითი, ნინო, რძალი რუსუდანი, შვილიშვილები: ბაბრიელი, მარიამი.**

**ლია ფიროსმანაშვილი, ციური პენაშვილი, ანგელინა ლორაშვილი.**

**იყიდება!**

იყიდება საცხოვრებელი სახლი ბელეტაზე. მდებარე ქ.დედოფლისწყაროში, შერეთის ქუჩაზე, საჯარო რეესტრის უკან ეზოში. ☎ 577 77 12 44 იკითხეთ მარინა.	იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებული ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დანვრლებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ☎ 591092478	იყიდება კერძო, ორსართულიანი, კაპიტალური ბინა 922 კვმ. ბუნებრივი აირით, წყლით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, გურამიშვილის ქ № 17. დაგვიკავშირდით: ☎ 555 15 46 46
--	--	--

**ამინდი**

ორშაბათი 29.07 დღე ღამე 21° 20°	სამშაბათი 30.07 დღე ღამე 25° 24°	ოთხშაბათი 31.07 დღე ღამე 28° 25°	ხუთშაბათი 01.08 დღე ღამე 28° 20°	პარასკევი 02.08 დღე ღამე 20° 18°	შაბათი 03.08 დღე ღამე 21° 20°	კვირა 04.08 დღე ღამე 23° 21°
--	---	---	---	---	--	---------------------------------------

გამომცემელი შპს „შირაპი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჯანაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულაეტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლო პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.